ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის ირმა ყურაშვილის

ანგარიში

პარტია ,,საქართველოსთვის“ ქვოტით პროპორციული წესით არჩეული ვარ 2021 წლის ადგილობერივი არჩევნების შედეგად.

როგორც დეპუტატი, უფლემოსილების განხორციელებას შევუდექი 2021 წლის 3 დეკემბრიდან. ვარ ფრაქცია ,,ცაგერი საქართველოსთვის“ წევრი, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების წევრი.

როგორც დეპუტატი ვესწრები საკრებულოს ყველა სხდომას. ვესწრები ფრაქციის სხდომებს, საკრებულოს კომისიების სხდომებს.

ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ვანხორციელებ მოსახლეობასთან შეხვედრებს და ვეცნობი აქტიურ და პრობლემურ საკითხებს. ამის შესახებ ყოველთვიურად ვადგენ ოქმებს და გადავცემ საკრებულოს აპარატს. მათ შორის ისეთ საკითხებზე როგორიცაა: ქ. ცაგერში სველი წერტილების, ბაზრის კეთილმოწყობის, მაწანწალა ძაღლების პრბლემის მოგვარების, წვიმიან პერიოდში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების შეფერხების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესრიგების შესახებ. სოფლებში: სპორტული მოედნების, სასმელი წყლის, შიდა გზების მოწესრიგების. ასევე ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან სუბსიდიის გაცემის შესახებ“ შესრულების მოკვლევის შესახებ, მოსახლეობიდან ყურძნის ორგანიზებულად ჩაბარებისა და ფასის მოწესრიგების საკითხზე, ასევე სხვა მიმდინარე საკითხებზე და პრობლემებზე.

უნდა ითქვს რამოდენიმე საკითხი უკვე გვარდება, თუმცა პრობლემების უმეტესობა გადაუჭრელი რჩება.

ი. ყურაშვილი

26/10/2022 წ.